მოგება/ზარალის უწყისი

ᲙᲠᲘᲡᲢᲐᲚᲘ

არის საბუღალტრო ანგარიშგების ფორმა, რომელიც გვიჩვენებს საწარმოს საქმიანობის ფინანსურ შედეგს დროის გარკვეულ პერიოდში - რა შემოსავალი (ამონაგები) ჰქონდა საწარმოს და რა ხარჯები გასწია პერიოდში. პერიოდი მოიცავს ძირითადად:

- თვეს
- კვარტალს
- 6 თვეს
- წელიწადს

შემოსავალი

შემოსავალი (ამონაგები) არის საწარმოში საანგარიშგებო პერიოდში შემოსული საერთო თანხა, რომელიც მიიღება საწარმოში სამეურნეო ოპერაციების შედეგად და გამოიხატება საკუთარი კაპიტალის ზრდით. (საკუთარი კაპიტალის ზრდა მესაკუთრეთა დამატებითი შენატანების საფუძველზე, არ წარმოადგენს შემოსავალს).

არსებობს ორი სახის შემოსავალი: საოპერაციო და არასაოპერაციო.
საოპერაციო შემოსავალი დაკავშირებულია ძირითად საქმიანობასთან: საქონლისა და მზა პროდუქციის რეალიზაციასთან, მომსახურების გაწევასთან, ხოლო არასაოპერაციო შემოსავლები მიიღება სხვა თანმდევი სამეურნეო ოპერაციების შედეგად, როგორიცაა: საპროცენტო შემოსავალი სესხებიდან, მოგება კურსთა შორის სხვაობიდან, მოგება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან და სხვა.

თვითღირებულება

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, ასევე მათ დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების დანახარჯებს.

საწარმოების მიერ წარმოებული მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს იმ დანახარჯებს, რომელიც დაკავშრებულია პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან.

შინაარსის მიხედვით დანახარჯები იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ დანახარჯებად.

პირდაპირია დანახარჯი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება პროდუქციის წარმოებას.
არაპირდაპირია დანახარჯი, რომელიც ირიბადაა დაკავშირებული პროდუქციის შექმნასთან და მნიშველოვანი დანახარჯია საწარმოს ფუნქციონირებისათვის.

ხარჯი

ᲮᲐᲠᲯᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ/ᲐᲜ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲔᲕᲐᲖᲔ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ. ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲧᲝᲡ:

- შემოსავლების ოპერაციებთან უშუალოდ დაკავშირებული გასავლები (საქონლის ან მზა პროდუქციის რეალიზაციის დანახარჯები);
- შემოსავლების ოპერაციებისგან დამოუკიდებელი გასავლები (დანახარჯები საწარმოს მართვაზე, ჯარიმები, საურავები, ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან);

ᲐᲡᲔᲕᲔ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲓᲔᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲠᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲐᲐ: ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲝ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ.
ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲝ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲬᲔᲕᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ:

- რეალიზებული საქონლის ან მზა პროდუქციის თვითღირებულებას;
- მიწოდების ხარჯებს;
- საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს;

ᲐᲠᲐᲡᲐᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲝ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲕᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ:

- საპროცენტო ხარჯებს;
- ზარალს საკურსო სხვაობიდან;
- ზარალს ძირითადი საშუალების გაყიდვიდან და სხვა არასაოპერაციო ხარჯებს.

ᲙᲠᲘᲡᲢᲐᲚᲘ

მოგება/ზარალის უწყისი

შემოსავალი რეალიზაციიდან	
თვითღირებულება	
მთლიანი მოგება	
ხარჯები	
ხელფასი	
იჯარა	
კომუნალური	
ადმინისტრაციული/საკანცელარიო	
სატრანსპორტო ხარჯი	
დაცვა	
სულ საოპერაციო ხარჯები	
საოპერაციო მოგება	
საგადასახადო ხარჯი	
სესხის პროცენტი	
წმინდა მოგება	